

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და  
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

10. 10. 2014 წელი

88/2

----- ქ. თბილისი № -----

წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნების  
გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 7 ივლისის № 05/91 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის, მე-20 მუხლისა და 43-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. 2014 წლის 13 ოქტომბრიდან გამოცხადდეს სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნები.
2. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის მსურველი კანდიდატების რეგისტრაცია დაიწყოს 2014 წლის 13 ოქტომბრიდან და დასრულდეს 2014 წლის 23 ოქტომბერს. კენჭისყრა გაიმართოს 2014 წლის 27 ოქტომბერს.
3. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის მსურველი კანდიდატების რეგისტრაცია მოხდეს ფაკულტეტებზე და სტუდენტური თვითმმართველობის მიერ.
4. ბრძანება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე [www.tafu.edu.ge](http://www.tafu.edu.ge).
5. ბრძანების შესრულება დაევალოს ფაკულტეტებსა და სტუდენტურ თვითმმართველობას.

6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საორგანიზაციო სამსახურს.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში, მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ №6.

რექტორი

გიორგი მარგველაშვილი